№ 8
ფ.40 თ.

# ფან-კლუბი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალ „ოსკარის" დამატება



## შეხვდი ნინი ქარსელაძეს პირისპირ



ჰყავს თუ არა ორეული ნიკა ლომიძეს



რას ფიქრობს დათო ხუჯაძე ზურა ხაჩიძეზე



როდის გადაიღებს კლიპს რუსა მონჩილაძე

სად ყიდულობს ტანსაცმელს ქეთა თოფურია



**დ**ადის თუ არა სიონში ყოველ კვირას პაატა ხაჩიძე?

თაკო, 15 წლის



პაატა: – ყოველ კვირას ვერ დავდივარ, არის მომენტი, როდესაც სხვა ტაძარშიც ვარ, თუმცა ძირითადად მაინც სიონში დავდივარ.

**ს**ად ცხოვრობს ნინი ბადურაშვილი?

თაკო, 15 წლის



– ნინი ბახტრიონზე ცხოვრობს.

**ს**ად ცხოვრობს ქრისტი იმედაძე?



– ქრისტი ვაკეში ცხოვრობს.

**რ**ატომ არის ლელას ტელეფონი ფანებისთვის გასაიდუმლოებული?



– ამის პასუხი მარტივია. აბა, წარმოიდგინეთ რამდენი ფანი ჰყავს ლელას, ყველამ რომ იცოდეს მისი ნომერი და ყოველ დღე დაუკავშირდეს მას, როგორი ასატანია ეს მომღერლისთვის? ბუნებრივია, მისი ტელეფონი გასაიდუმლოებულია.

**ს**ად არის აჩიკო მეფარიძე, რატომ არ ჩანს?

თაკო, 15 წლის



– აჩიკო, როგორც იცით, ამერიკაში იმყოფებოდა ლელასთან და რუსასთან ერთად. თბილისში დაბრუნებული მომღერალი კი ახალი რეპერტუარის ჩაწერითაა დაკავებული.

**რ**ა არის დათოს ჰობი?

ეკა, 28 წლის



დათო: - სიმღერა.

**ი**ცნობს თუ არა ზურა ხაჩიძე მარი დანელიას?

ნათია, 12 წლის



ზურა: – შესაძლოა ვიცნობდე.

**რ**ა სუნამოს ასხამს ლელა პატარა მარიკოს?



„მამულიჩა": – მარიკოს ჯერ სუნამო არ სჭირდება.

**რ**ა ასაკიდან დაიწყო სიმღერა მერაბ სეფაშვილმა?

ანი, 12 წლის



– მერაბი დაახლოებით 12-13 წლის იყო, როდესაც სხვადასხვა ინსტრუმენტებზე უკრავდა, იყო ჯგუფში, შემდეგ შეიქმნა ანსამბლი, სადაც პირველად იმღერა.

– ვინ არიან სტეფანეს მეგობრები ქართულ შოუ-ბიზნესში?

კაკო, 20 წლის



– სტეფანეს მეგობრები არიან: კახუჩელა, სოსო თოლორაია, მაია დარსმელიძე, ლელა წურწუმია, ნინო ქათამაძე...

**ს**ად ყიდულობს ქეთა ტანსაცმელს?



ქეთა: – მე ძირითადად ვაკეში ვიძენ ტანსაცმელს, სხვადასხვა ბუტიკში, ხშირ შემთხვევაში დედას ჩამოაქვს მოსკოვიდან.

**რ**ამდენი შვილი ჰყავს დათო გომართელს?

ანი, 21 წლის



– დათო გომართელს შვილი არ ჰყავს.

**დ**ა ან ძმა თუ ჰყავს თიკა ჯამბურიას?

გიო, 15 წლის



– თიკას ორი უფროსი და ჰყავს.

**რ**ოდის ვიხილავთ „ინტრუსა" და ქეთას ახალ დუეტზე გადაღებულ კლიპს?

მერი, 14 წლის



ქეთა: – ამჟამად მიმდინარეობს კასტინგი იმისათვის, რათა შეირჩეს კლიპში გადასაღები ახალგაზრდები. როგორც ისინი შეირჩევა, კლიპის გადაღებასაც შევუდგებით.

გაზეთი "ფან-კლუბი" ჟურნალ "ოსკარის" დამატებაა.
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
ჟურნალში მოყვანილი ჭორებისა და კულუარული ინფორმაციის შესახებ რედაქცია პასუხს არ აგებს.

მთ. რედაქტორი: ნოდარ მელაძე,
რედაქტორის მოადგილე: [illegible]ამუნა გონგაძე.
[illegible]ურნალისტები: ნინო კუტალაძე, [illegible]ამთა მჭედლიშვილი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვის შემთხვევაში „ფან-კლუბის" მოხსენიება აუცილებელია.

# კითხვა-პასუხი

**რ**ოგორია პატარა ნიკუშა და ჰგავს თუ არა იგი გურამიკო ლომიძეს?

მაია, 16 წლის



– როგორც გავიგეთ, პატარა ნიკუშა ძალიან ლამაზი და საყვარელი ყოფილა, იგი გურამიკოსაც ჰგავს და ხატიასაც.

**დ**ათო, წაიკითხე თუ არა ბარათი, ფილარმონიაში, 8 მარტს რომ გადმოგეცი?

სალომე კაპანაძე



დათო: – კი, წავიკითხე.

**რ**აზე მუშაობს ამჟამად კახა კუხიანიძე?

ლელა, 19 წლის



კახა: – ამჟამად ვმუშაობ ჩემი ძმის ახალი სიმღერის ჩაწერაზე.

**ჰ**ყავს თუ არა ორეული ნიკუშა ლომიძეს?



ნიკა: – მე ჯერ არ შემხვედრია, ისე, როგორც ყველას, მეც მეყოლება.

**ჰ**ყავს თუ არა შეყვარებული ნეკა სებისკვერაძეს?

ნინო, 16 წლის



– როგორც ვიცით, ნეკა მართლაც შეყვარებულია, თუმცა ბიჭის ვინაობას მალავს.

**რ**ოგორი გოგონები მოსწონს „სთეისის" ზურას?

ცირა, 16 წლის



ზურა: – ეშხიანები, სიმპათიურები და მხიარ:ულები.

**გ**ადაიღებს თუ არა რუსა კლიპს?



რუსა: – ამერიკაში გასამგზავრებლად ვაპირებ სერიოზულად ვიმუშაო ჩემს რეპერტუარზე, აქედან გამომდინარე შესაძლოა კლიპზეც ვიფიქრო.

**რ**ას ფიქრობს დათო ხუჯაძე ზურა ხაჩიძეზე?

დათო: – რას უნდა ვფიქრობდე, ჩვენ ვმეგობრობთ.

**ქ**ეთას საყვარელი კერძი.

თაკო.



ქეთა: – ძალიან მიყვარს მწვადი.

**რ**ატომ არ შემიძლია ინტერნეტით ლელასთან დაკავშირება?

მანანა, 16 წლის



ლელა: – ჩემი საიტი გახსნილია და შეგიძლიათ დამიკავშირდეთ. ევროპიდან და ამერიკიდან მიკავშირდებიან და აქედან როგორ ვერ მიკავშირდებით?!

**ლ**ელას საყვარელი ფერი.

თინიკო, 14 წლის

– ლელას საყვარელი ფერია შავი.

**მ**ოსწონს თუ არა ზურას ცისფერთვალება, ქერა გოგონები?

ჟანა კოტორეიშვილი, *ბაღდათი*



– როგორც ზურამ აღნიშნა, მოსწონს ასეთი ფერის გოგონები, თუმცა დასძინა, რომ მისთვის სულიერი მხარეა უმთავრესი.

## ჭორულ-ჭორული ამბები



ქართველი ბიბლიოთეკა

თურმე ჯგუფ „ემის" წევრი – ია, შესანიშნავად ქსოვს. მის ნახელავთა სიაში შედის შარფები, ხელთათმანები, ქუდები და ათასი მსგავსი აქსესუარი. როგორც იამ თქვა, იგი ნელა ქსოვს, ერთი რაღაცის მოქსოვას თითქმის ერთ კვირას ანდომებს. ეს შესაძლოა გამოწვეულია იმით, რომ იგი დაკავებულია და ვერ იცლის ქსოვისათვის, მაგრამ ფაქტია, რომ ია მართლა პროფესიონალურ დონეზე ქსოვს.



რადიო "ფორტუნას" ერთ-ერთ მუსიკალურ წამყვანს – გვანცა კილასონიას, ძალიან უყვარს ცეკვა. მას შეუძლია საღამოზე მუხლჩაუხრელად იცეკვოს. ამიტომაც არის, რომ გამართულ „ტუსოვკებსა" თუ „ფართებზე" ყოველთვის სცენასთან დგას და ცეკვავს. პრინციპში, გასაკვირიც იქნება მუსიკალურ წამყვანს მუსიკის რიტმის შეგრძნება რომ არ ჰქონდეს და „დენსი" არ უყვარდეს.



ქეთა თოფურიამ ისე „დაამულამა" მაკიაჟის გაკეთება, რომ აღარავის ჩარევას საჭიროებს. ისეთი ზუსტი თანამიმდევრობით და ისეთი სისწრაფით ილებება მომღერალი, რომ ბევრ ვიზაჟისტს გააოცებს კიდეც. მიუხედავად ასაკისა, ქეთა უკვე ძალიან შეეჩვია „გაფერადებას" და თითქმის ყოველდღიურად „ფერადდება".



საქართველოს

# ჭრელა-ჭრელა ამბები



თინეიჯერი მომღერალი მარიკა თხელიძე კარგად მოგეხსენებათ რა გემოვნებით იცვამს. შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ფაქტია, რომ მარიკა ბავშვობიდან თვითონ ირჩევს ტანსაცმელს. მისი დახვეწილი გემოვნებითა და სტილით ირგვლივ ბევრია მოხიბლული. მიუხედავად იმისა, რომ მომღერლის დიზაინერი ბაკურ ბაკურაძეა, მარიკა ყოველდღიურ ჩაცმულობაზე თავად ზრუნავს და არც თუ ისე ურიგოდ. იგი ყოველთვის გემოვნებიანად შერჩეული სამოსით ჩნდება ხოლმე საზოგადოებაში.



თურმე პატარა „მამულიჩას" ძალიან უყვარს ლელა წურწუმია. იგი ხშირად არის მასთან, უყვარს ლელას სიმღერები, ზის და დაუსრულებლად უსმენს მის საყვარელ ჰანგებს. რაც შეეხება პატარა მარიკოსთან მის დამოკიდებულებას, ისე უზომოდ ჰყვარებია ნიკუშას თავისი დაიკო, რომ მის გარეშე ვერც კი ძლებს. სულ მის გვერდით უნდა ყოფნა და თამაში.



თამუნა ამონაშვილი ცოტათი ცრუმორწმუნე ყოფილა. იგი თვლის, რომ შავ კატაში არის რაღაც ბნელი და შეუცნობელი. ასევე არ უყვარს ცხვირსახოცის გაჩუქება, რადგანაც დაცდილი აქვს ურთიერთობების დაძაბვა. საერთოდ, როცა რაიმე საქმის მოსაგვარებლად მიდიან, თან თამუნაც მიჰყავთ, როგორც აღმოჩნდა, მომღერალს დადებითი აურა აქვს და სადაც მიდის, საქმე კეთდება.

## „შენი გაცნობა ოცნებად მექცა"

### ლელა წურწუმიას!

გამარჯობა „ფან-კლუბელებო", ძალიან მიყვარხართ და ასევე ძალიან მომწონს თქვენი გაზეთი. მხოლოდ მისი საშუალებით შემიძლია მივმართო ადამიანს, რომელსაც ვაღმერთებ და რომელიც ჩემი ცხოვრების უმთავრესი ნაწილია.

ლელა! ჩემო სიყვარულო, არ ვიცი საიდან დავიწყო და როგორ აგიხსნა თუ როგორ მიყვარხარ. იმდენად დიდია ჩემი სიყვარული შენდამი რომ ამის გადმოცემა ფურცლებზე არ შემიძლია. ლელა, შენ ხარ ადამიანი, რომელიც 3 წლის წინ ერთ-ერთ კონცერტზე შემიყვარდა და რის შემდეგაც მხოლოდ მასზე და მის გაცნობაზე ვოცნებობ. უზომოდ მიყვარხარ, შენს გარეშე სიცოცხლე წარმოუდგენლად მიმაჩნია, გეფიცები, ცხოვრებაში ასე



არავინ მყვარებია, არ ვიცი როგორ დაიპყარი ჩემი გული, მაგრამ კი გამაგიჟე, გამაგიჟე შენი სიყვარულით. მეტი აღარ შემიძლია, ლელა, გამუდმებით შენი ხმა მესმის, ქუჩაში ყოველ მეორე ადამიანში შენ გხედავ, ვერაფერს გულს ვერ ვუდებ, იმიტომ, რომ მხოლოდ შენზე ვფიქრობ, ვფიქრობ და ამით ვცოცხლობ. ლელა, ამ ქვეყანაზე უბედნიერესი ადამიანი ვიქნები, როცა გაგიცნობ, ჩაგეხუტები და ძალიან ბევრს გაკოცებ, აი, მერე კი თუნდაც მოვკვდე. ლელა, მიყვარხარ მზემდე, მზიდან კი უსასრულობამდე, იქ სადაც ჩემს სიყვარულს შენდამი დასასრული არასოდეს არ უწერია. შორიდან გკოცნი, გეხვევი და გესიყვარულები ჩემო სიცოცხლევ. მიყვარხარ, უზომოდ მიყვარხარ.

თამუნა ნადარაია, 16 წლის

## „ფან-კლუბს" — მიყვარხართ!

გამარჯობა ძვირფასო „ფან-კლუბელებო", მე თქვენი ჟურნალი ძალიან მიყვარს. თქვენთან ანუ „ფან-კლუბში" პირველად ვწერ წერილს და ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ამ წერილს გამომიქვეყნებთ და გულს არ დამწყვეტთ. ამ წერილს მე ვწერ ყველაზე ლამაზ, ყველაზე კარგს, ყველაზე კეთილ და მაგარ ადამიანს – პაატა ხაჩიძეს, გთხოვთ გამომიქვეყნოთ.

მოგესალმები ძვირფასო პაატა, მე შენი უერთგულესი თაყვანისმცემელი „ნეო" ვარ და ძალიან (სიგიჟემდე) მიყვარხარ. მე ჩემს თავს ფანს არ ვუწოდებდი, რადგან ფანური სიყვარული ოდესმე ქრება, ხოლო ჩემი სიყვარული შენდამი არასოდეს გაქრება და სამარემდე გამყვება. პაატა, შენ ჩემთვის მიუწვდომელი ვარსკვლავი ხარ. ერთხელ თქვენს კონცერტზე გოგონები ავტოგრაფს გართმევდნენ, მე მათ შორის პირველი ვიდექი და შენი გამოჩენისთანავე რაღაც შიში დამეუფლა, შენ მე მომიწერე ხელი, მაგრამ მე ავტოგრაფი არ მაღელვებდა მე შენი ცქერით ახლოდან ვძღებოდი. იცი, პაატა, ერთხელ სიზმარში გნახე, გაღვიძება ნამდვილად არ მსურდა, ხოლო როცა მოვიდა დრო სკოლაში წასვლისა და როცა გავიღვიძე ცრემლები მომადგა თვალებზე, რადგან სიზმარში შენ იყავი, დიდი არაფერი სიზმარი არ იყო, მაგრამ მთავარია მასში შენ იყავი, ჰოდა როცა გავიღვიძე შენ არ იყავი, ასე ძალიან ხშირად ხდება, უბრალოდ მინდა გითხრა, რომ შენ ჩემი სახით გყავს კიდევ ერთი, უერთგულესი თაყვანისმცემელი ნეო, რომელსაც ძალიან უყვარხარ. მე ძალიან, ძალიან დიდ მადლობას ვუხდი გაზეთ „ფან-კლუბს", რომელიც მაძლევს საშუალებას გამოვხატო შენდამი სიყვარული.

## პაატა ხაჩიძეს



„ერთი ყვავილი, ერთი
სიცოცხლე
დიდხანს იცოცხლე,
ჩემო სიცოცხლე (პაატა)".

უდიდესი სიყვარულით ნეო.
*(სტილი დაცულია)*

## „ქუჩის ბიჭებს"

გამარჯობა „ოსკარელებო" და „ფან-კლუბელებო"!

ჩვენ თქვენი ჟურნალის აქტიური მკითხველები ვართ და ამ წერილით გვინდა ჩვენი დამოკიდებულება გამოვხატოთ ჯგუფ „ქუჩის ბიჭების" მიმართ.

ბიჭებო, ჩვენთვის ყოველთვის იყავით, ხართ და იქნებით ჩვენი საყვარელი ჯგუფი. ჩვენი აზრით, თქვენ ღირსეულად დაიმსახურეთ ფანების სიყვარული და პატივისცემა, რასაც ადასტურებს ის თბილი სიტყვები, რომელიც თქვენს მიმართ ისმის. არიან ისეთებიც, რომლებიც სხვა ჯგუფის უპირატესობას აღიარებენ. თითოეული ჩვენთაგანი უფლებამოსილია ჰქონდეს



საკუთარი შეხედულება ამა თუ იმ მუსიკალურ შემსრულებლებზე, მაგრამ ჩვენ მაინც თქვენს უპირატესობას ვაღიარებთ. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის დიდი წარმატება, რომელიც ესპანეთში მოიპოვეთ, კერძოდ კი „გრან-პრი".

იმედია, თქვენი მხრიდან ეს არც პირველი და არც უკანასკნელი გამარჯვებაა. დადგება დრო და ყველა ერთხმად აღიარებს თქვენს დიდ ღვაწლს ხელოვნებაში.

აბა, თქვენ იცით, „ქუჩის ბიჭებო", მართლაც „ოქროს" ბიჭებო. სულ წინსვლას და წარმატებებს გისურვებთ. ძალიან გვიყვარხართ!

დიდი სიყვარულით და პატივისცემით
თაკო და ეკა.
*(სტილი დაცულია)*

# მუსიკალური ვიქტორინა

მათ, ვისაც ინტუიცია არ ღალატობს, ან შეუძლია ნოტების საშუალებით სიმღერის აწყობა, გაზეთი "ფან-კლუბი" აძლევს საშუალებას გაერთოს და ამასთანავე პრიზებიც მოიგოს. მოცემული ხუთი სიმღერიდან თქვენ უნდა გამოიცნოთ: პლაკატების ნაკრების მოსაგებად — სამი მათგანი, კალმისტრის მოსაგებად — ოთხი, ხოლო სუვენირის მოსაგებად — ხუთი სიმღერა. თქვენი პასუხები უნდა ჩაწეროთ ქვემოთ მოცემულ ბლანკში და გამოგზავნოთ მისამართზე: კოსტავას 14.

1. სიმღერა ტყვიასავით ჩარჩენილ სიყვარულზე.



2. სიმღერა ღამეზე და მონატრებულ სიყვარულზე, რომელსაც გული ვერ ელევა.



3. სიმღერა ღამეზე და ვარსკვლავებით ანთებულ ფარდაზე.



4. სიმღერა შეყვარებულ ადამიანზე, რომელიც სატრფოს თვალებს სიზმარშიც ხედავს.



5. სიმღერა მონატრებულ თბილისზე.



მუსიკალური ვიქტორინა №7.

1 ____________________

2 ____________________

3 ____________________

4 ____________________

5 ____________________

გვარი, სახელი, ტელეფონის ნომერი ____________________

# „ფან-კლუბის" დაარსება ეს თქვენი წარმატებაა

გამარჯობა! და გამარჯობათ თქვენ!.. ძალიან კარგები ხართ და მიყვარხართ. ჩემს თავს მივეცი იმის ნება, რომ ეს წერილი თქვენ მოგწეროთ და არა რომელიმე პოპულარულ ადამიანს. სხვათა შორის, არც თქვენ ხართ ნაკლებად პოპულარული. თქვენი შემოქმედება მართლა იმსახურებს დიდ წარმატებას, რაც ეს ნამდვილად არაა გასაკვირი, რაშიც გვარწმუნებს თქვენი გულმოდგინე შრომა. თქვენს გაზეთში ბევრ წერილს ვკითხულობ და არ შემხვედრია ისეთი წერილი, რომელიც თქვენზე და თქვენს ნიჭიერებაზე იყოს დაწერილი. ყველა მხოლოდ წერილის დასაწყისში გიხსნით სიყვარულს და გეფერებათ. მე მინდა ეს საქმე ბოლომდე გავაკეთო და ეს წერილი თქვენ და თქვენს ნიჭს მივუძღვნა.

პირველ რიგში, მინდა მოვიკითხო ნოდარ მელაძე და თამუნა გონგაძე, რათა მათი და იმ ჟურნალისტების მონდომებით დაარსდა ის ჟურნალ-გაზეთი, რომელსაც „ოსკარი" და „ფან-კლუბი" ჰქვია. სიმართლე გითხრათ, ნამდვილად არ ვიცი რამდენი წელია რაც ჟურნალი „ოსკარი" არსებობს ქართულ პრესაში, მაგრამ ვიცი რომ დიდი ხანია. თქვენი დამსახურებაა, რომ „ოსკარი" პირველი ახალგაზრდული პრესის ლიდერია. ვხვდები, რომ ამ ორი წლის განმავლობაში უფრო დიდი პოპულარობა მოიპოვა „ოსკარმა", რისი შედეგიც არის ახალი გაზეთის „ფან-კლუბის" დაარსება. მინდა უფრო დიდი წარმატება და დიდი პოპულარობა გისურვოთ თქვენ და თქვენს შემოქმედებით კარიერას. ძალიან მიყვარხართ. მე თქვენი ერთგული მკითხველი ვარ და ვიქნები კიდეც. დიდი მადლობა, რომ არსებობთ.

გაზეთ „ფან-კლუბს" ძალიან გთხოვთ, თუ შეიძლება ამ წერილთან დაკავშირებით თქვენი პატარა კომენტარი იმის შესახებ, თუ რას ფიქრობთ იმ ადამიანებზე, რომლებსაც თქვენ და თქვენი შემოქმედება ძალიან უყვართ.

გმადლობთ!

გიო, 17 წლის

*(სტილი დაცულია)*

— დიდი მადლობა შენ, გიო, იმისთვის, რომ აფასებ ჩვენს შრომას, მოგწონს ის, რასაც გთავაზობთ და ამით რომ გვემადლიერები. ჩვენ ძალიან გვიყვარხართ, ასე რომ არ იყოს, ვერ მივაღწევდით იმას, რაც დღესდღეობით გვაქვს.

## ჭორულა-ჭორულა ამბები



მომღერალ ვერიკო ტურაშვილს პირველი სიყვარული ბაღის ასაკში განუცდია. ბიჭს გიორგი ერქვა, როგორც მომღერალი ამბობს, იგი რკინის კაცი იყო (წარმოსახვით), თავად კი პრინცესა. სიყვარული გულში რომ ვერ დაიტია, მერე დედას გაანდო მისი გრძნობების შესახებ, დედას კი ბიძაშვილებისთვის მოუყოლია. მათ დასცინეს პატარა შეყვარებულ ვერიკოს, რის შემდეგაც გოგონას აღარაფერი მოუყოლია მათთვის.



„ქუჩის ბიჭების" „ხალასტოი" წევრები – ზურა და პაატა დაქორწინებას ჯერჯერობით არ აპირებენ. ისინი თვლიან, რომ თუკი ამ უღელში გაჰყოფენ თავს, პირველ რიგში დაკარგავენ თავისუფლებასა და ფანებს, მოუწევთ შინ ჯდომა. ამის მაგალითად ირაკლი და გურამიკო მოიყვანეს, რომლებიც უკვე ისეთი სიხშირით ველარ იკრიბებიან, როგორც ადრე, დაქორწინებამდე. აი, რას უფრთხიან უცოლო „ქუჩის ბიჭები", თუმცაღა აღიარებენ, რომ შვილები უნდათ.



ამერიკაში ყოფნისას რუსა, ლელა, აჩიკო, გია გუმბერიძე და „მამულიჩა" „ტაჯმა ჰალის" კაზინოში შესულან. ჯერ იყო და რუსამ და გიამ წააგეს, მერე „მამულიჩამ" და აჩიკომ მოიგეს, აზარტში შესულებმა ვერც კი გაიგეს როგორ დარჩათ კაზინოში ფოტოაპარატი. არადა, აპარატში რამდენიმე გადაღებული კარგი კადრი იყო. საბოლოოდ, რუსამ აღიარა, რომ კაზინო სენი და ავადმყოფობაა, რომელიც გითრევს და ვერ ეშვები.

## სტეფანეს დიდი სიყვარულით ქეთისგან:

„რა უნდა ჰქნა, თუკი
გადაფითრდა
დაიკეცა საოცნებო გზები?
რა უნდა ჰქნა თუკი
გადაგიტყდა
სიცოცხლისკენ გასაფრენი
ფრთები!
თვალები ღია აქვს წუხილს
მწუხარე გამხდარა რითმაც
აღარ იქნებითო ერთად
ნეტავ რომელმა მითხრა?!
ხვედრის წინაშე ვდგავარ
რა საშინორია ბედის,
გასროლილ ტყვიას ვგავარ!
ჰგავხარ გაფრენას
მტრედის!..
შუბლზე მძიმე ღარი
მამჩნევია,
ვზორკავ შენი მზერით
გალახული,
ვიცი ქვეყნად უკვე
დამრჩენია
თითზე დასათვლელი
გაზაფხული.
მშვიდად ვუმზერ მაგ
დამცინავ ღიმილს
გამვლელებს რომ პირზე
აკერია...
ალბათ იმიტომ რომ უკვე ვიცი.
თითზე დასათვლელი წამი
დამრჩენია!
ისევ სევდიანი ღამე,
ისევ სევდიანი წვიმა,
ნეტავ გათენდება, თუ არ
გათენდება,
ჩემთვის ხვალინდელი დილა?!
ნეტავ დაიძინებ თუ არ
დაიძინებ
ამ ყელ გამომხმარი ღამით?
იქნებ გაგაოცებს ხვალ რომ
მოგევლინო
ყველგამოღადრული დანით.
ნეტავ დამიტირებ თუ არ
დამიტირებ,
წამით თუ ჩაიცვამ შავებს?!
ნეტავ წამოსცვივა ერთი
ცრემლი მაინც
მაგ შენს თაფლისებურ
თვალებს?!
გამაგონე ერთი სიტყვა მაინც,
სანუგეშო ნათელი და თბილი



იყავ ჩემთან გვერდით ცოტა
ხანიც,
სანამ დარდი გულზე
გადამივლის.
იყავ ჩემთან დილით, დღისით,
ღამით,
იყავ როცა ყველა გამექცევა,
იყავ მარად იყავ ყოველ წამით,
სანამ დედამიწა თავზე
დამექცევა!..
ლამის გასკდეს გული
სევდისგან
ლამის ღამედ ვიქცე
დავიკარგო!
ნუთუ მართლა არის



განწირული
ჩემი თეთრი ღამეები
[illegible]!
შენი ჩუმი სევდა გადამიტანს
ან სითეთრე გვირილების
თოვა,
ნუთუ სიცოცხლეში
ერთხელ მაინც
ბედი ჩემს ეზოში არ
შემოვა?..
დაეკარგა ტალღებს
თეთრი ქაფი,
და სიცოცხლის
ალტკინებით ბორგავს,
მე ამ თეთრზე უთეთრესი
ღამით,
მხოლოდ შენი სიყვარული
მომკლავს!

წინასწარ დიდი მადლობა
„ფან-კლუბელებს",
ქეთი ასათიანი, 16 წლის

## „შენ შეიძლება შეგიყვაროს ჩემზე ლამაზმა, მაგრამ ვერავინ შეგიყვარებს ჩემზე ლამაზად"

### ჩემი ოცნების ანგელოზს — გურამ ლომიძეს

გამარჯობა „ფან-კლუბელებო" და „ოსკარელებო". მე თქვენი ერთგული მკითხველი ვარ. ყველანი ძალიან მიყვარხართ. ჩემი ორივე წერილი დამიბეჭდეთ და იმედია, ამაზეც არ მეტყვით უარს. „ფან-კლუბის" მეშვეობით მინდა კიდევ ერთხელ მივმართო სიყვარულით ჩემს სიცოცხლე გურამ ლომიძეს.

გურამიკო, აღარ შემიძლია უშენოდ ცხოვრება. შენ ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდი. შენი მზერა მატყვევებს, ძალიან გიხდება სიცილი, ხშირად გაიცინე. ცხოვრებით დატკბი, ის ხომ ასეთი ხანმოკლეა. მე ყველანაირად ვეცადე დამევიწყებინე, ვცდილობდი შენზე არ მეფიქრა. შენი პლაკატებიც ჩამოვხსენი ხშირად რომ არ მენახე, მაგრამ არაფერი გამომივიდა, მე მაინც შენზე ვფიქრობ.

ხშირად, როდესაც ბუნებაში განვმარტოვდები და დავხეტიალობ, შენ მახსენდები. შენც ხომ ჩემსავით ბუნება და მარტოობა მოგწონს.

ვიცი ჩემს ოცნებებს ახდენა არ უწერია, რადგან შენ ანგელოზივით ცოლ-შვილი გყავს. მე უბრალოდ მინდა კიდევ ერთხელ გისურვო დიდი წარმატება შენს საქმიანობაში.

ახლა „ქუჩის ბიჭებს" ოთხივეს მივმართავ. იცოდეთ, არ გაბედოთ და არ დაიშალოთ. „ფან-კლუბის" მეშვეობით ძალიან მინდა გურამის ნახვა. იმედია, მოვხვდები მათ სიაში, ყოველ შემთხვევაში ამის დიდი სურვილი მაქვს და ვილოცებ რომ ასე მოხდეს.

„ეს სადღეგრძელო მე
სიყვარულმა დამალევინა
მე სიყვარულმა დამაობლა,
დარდით ამავსო
და მაშ დავლიოთ
სადღეგრძელო ობოლი გულის
და ეს ჭიქები სისხლიანი
ღვინით ავავსოთ
მაშ გაუმარჯოს, ვინც
სიყვარულში დატანჯულია
ვისაც უგრძვნია
სიყვარულის მძიმე იარა
ვისაც ნამდვილი სიყვარული
გამოუცდია



მის სადღეგრძელოს
ყანწით დავლევ ჭიქით კი არა".

დიდი სიყვარულით
გურამიკოს დიდი ფანი
მაია, 16 წლის
(სტილი დაცულია)



## ზურა ხარიძეს

გამარჯობა ძვირფასო „ფან-კლუბელებო", მე თქვენ ძალიან მიყვარხართ. დიდი სიხარულით ველოდები ყოველ ხუთშაბათს, რომ თქვენი გაზეთი წავიკითხო. ძალიან გთხოვთ გამოაქვეყნოთ და უყურადღებოდ არ დამიტოვოთ ჩემი პირველი წერილი.

მოგესალმები ძვირფასო ზურა მე შენი უერთგულესი თაყვანისმცემელი ვარ. დიდ პატივს ვცემ შენს შემოქმედებას. შენზე სიგიჟემდე ვარ შეყვარებული. ყოველი დღე შენით იწყება და შენით მთავრდება. ჩემი ცხოვრების ნაწილი ხარ. ვოცნებობ შენს გაცნობაზე. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ თქვენი მესამე „სოლო კონცერტი" მალე იქნება. გისურვებ წარმატებებს შემოქმედებაში და პირად ცხოვრებაში. შენ და მთელი „ქუჩის ბიჭები" ძალიან მიყვარხართ. ძალიან გთხოვთ არ დაიშალოთ. თქვენ ყველაზე კარგი ჯგუფი ხართ და თქვენი დაშლით ძალიან ბევრ ჯგუფს გულს გაუხარებთ. გისურვებთ ბიჭებო ისეთივე „მაგრები" ყოფილიყავით, როგორც ადრე. მე მჯერა რომ თქვენ ყველა ჯგუფს ჩამოიტოვებთ და დაჩრდილავთ, თქვენი ახალი შემოქმედებით. ყველანი ძალიან მიყვარხართ, გკოცნით ბევრს.

თქვენი უერთგულესი
თაყვანისმცემელი ლელა.
(სტილი დაცულია)

# კითხვა-პასუხი

როგორც ინტერნეტიდან გავიგე, ქეთას ამერიკაში შეყვარებული ჰყავს.

თაკო, 15 წლის



ქეთა: – არა, ეს არ შეესაბამება სიმართლეს.

როგორი დამოკიდებულება აქვს ლელას ფანებთან?

ნანა ხარშილაძე



ლელა: – ნორმალური, ჩვეულებრივი.

„ინტროს" წევრებისგან რომელიმეს ჰქვია ირაკლი?

თეო, 12 წლის



– არა, „ინტროს" წევრების სახელებია – ვანიკო და გიორგი.

რამდენი შვილი ჰყავს მაია ყარყარაშვილს?

ლუიზა, 14 წლის



– მაიას ერთი გოგონა ჰყავს.

ვინ არის ნატა ამაღლობელის ქმარი და რა პროფესიისა იგი?

ნინა, 18 წლის



– ნატას ქმარი რეჟისორია, მისი სახელი და გვარია ბასა ჯანიკაშვილი.

რა ფერის თვალები აქვს მარიკა თხელიძეს?!

თათია, 13 წლის



– მარიკას თაფლისფერი თვალები აქვს.

ვის ეკუთვნის თათარაშვილის სიმღერა „შენამდე მოვედი"?

დათო, 15 წლის



– „შენამდე მოვედი" ლილიკო ნემსაძისაა.

რა ჰქვია ჯგუფ „ისინი"-ში წვერიან და გრძელთმიან წევრს?

ნატო, 15 წლის



– ბედინა აისი. არ გახსოვს რეპერი ბედინა?

მართლა მეგობრობენ თაკო გაჩეჩილაძე და ნინი ბადურაშვილი?

მზია



– დიახ, თაკო და ნინი ბავშვობის მეგობრები არიან.

სად ცხოვრობს კახა კუხიანიძე?

ეკა, 15 წლის



კახა: – მე ვცხოვრობ მთაწმინდაზე, კონსერვატორიასთან.

რომელ სკოლაში სწავლობს ნინი ქარსელაძე, რომელ კლასშია და რამდენი წლისაა, კიდევ მაინტერესებს, პირველად რა სიმღერა შეასრულა?

სალომე, 8 წლის

ხათუნა: – ნინი სწავლობს სენტ-ეგზიუპერის სახელობის ფრანგულ კოლეჯში, მეექვსე კლასშია, არის 11 წლის. რაც შეეხება მის პირველ სიმღერას, ეს იყო სტინგის ფრანგულენოვანი სიმღერა, რომელიც 3 წლის ასაკში შეასრულა.



## ქრონიკა-ქრონიკა



ყველასათვის საყვარელ მამუკა ონაშვილს ძალიან კარგი და მისაბაძი დამოკიდებულება აქვს თავის თაყვანისმცემლებთან. იგი თვლის, რომ ყველა მომღერალს თავის თაყვანისმცემელთან და ფანთან კარგი და თბილი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს. მომღერალი ვერ იტანს იმ ამბიციურ ადამიანებს, რომლებიც ამბობენ, რომ დაიღალნენ მსმენელებთან ურთიერთობით და ავტოგრაფის დარიგებით. – "რას ჰქვია დაიღალე და მოგბეზრდა შენი თაყვანისმცემელი, ეს გამაღიზიანებელია" – აცხადებს მომღერალი.



ჩვენი მხიარული ზვიო ბავშვობაში მავნე ყოფილა – ამტვრევდა სათამაშოებსაც და არასათამაშოებსაც, შლიდა რადიოს და ტელევიზორს, აინტერესებდა შიგნით რა იყო. როგორც თვითონ ამბობს, მაგნიტები „ევასებოდა". მშობლებისგან მიტყეპვაც კარგად ახსოვს და დამდურებაც. „– ფსიქოლოგიურად მსჯიდნენ, ან რაიმეს არ მიყიდდნენ, ან ხმას არ მცემდნენ. ეს უფრო მოქმედებდა ჩემზე, ვიდრე კუთხეში დაყენება და მიტყეპვა", – ამბობს ზვიო.



[illegible]ანას ძალიან [illegible]უყვარს კარგად [illegible]აცმა. სახლიდან გასვლის წინ ყოველთვის წერვ[illegible]ლობს, რა ჩაიცვას და როგორ[illegible]ვიდეს. „– ბებიას გაზრდილი ვ[illegible] ის მასწავლიდა, რომ ქალი[illegible]ის გა[illegible]ასაყრელადაც კი გამ[illegible]ობილი და ფორმაში მყოფი უნდ[illegible]იდეს[illegible]მბობს მომღერა[illegible] ცხა[illegible]ლასმი[illegible]მენდა ბებიას დანაბარებს და[illegible]რულებს კიდეც. აბა, ვინმეს [illegible]ნახავთ მოუწესრიგებელი ცის[illegible]ა?!

# ახლაც არ დეიჯერებთ ჩემს ჭორებს, ნენა?!




ეროვნული ბიბლიოთეკა



– უიმე, მაგას შემეევლოს ჩემი დარჩენილი კუზიანი ცხოვრება, ეს ვინ გვყავს და ვინ გავაგზავნეთ ამერიკაში. გეიგეთ, რა უქნია სალომე გასვიანს შტატებში? ცხრა სიმღერის ჩაწერას ეხუმრები შენ, მერე და რა კლიპები გადოულია ჩიტუნიას? ასთე გევიგე, ვინმე ჯონ დებაის სიმღერაზე „გამარჯობა ხვალინდელო დღევ" ჰქონია პატარა მომღერალს ის კლიპი გადაღებული. რა გეიგონა ჩემმა ყურებმა ეგი, სელინ დიონის ხმას ამსგავსებენ თურმე ამერიკელი პროდიუსერები ჩვენ სასახელო გოგოს ხმას. სანამ ისევ გაემგზავრება უნდა ვნახო, უნდა ჩევიკონო, ისთე ვერ მევისვენებ.

***

– ეს ყურები იმიტომ არ იზრდება, ამდენ ჭორს რომ იგებენო, გამიგია და მართალიცაა. აბა, წარმოიდგინეთ ჩემი ჭორაობის მოყვარული ყურები რა დღეში იქნებოდა, სპი-



ლოს გაასწრებდი ყურების პარტყუნში. ახლა რა გევიგე არ იცით? თურმე ჯგუფ „ემის" წევრი – ეკა მანქანით რომ მისრიალებდა ქუჩაში, ერთი ბიჭის ყურადღების ცენტრში მოხვედრილა. იმ ტიპის ბედზე შუქნიშანმა წითელი აანთო და მანქანებიც შეტორმუზდნენ. არ მეიკითხოთ და „ისიც" და ეკაც მანქანის კარის შუშებზე თავ-თავ მიდებულები უყურებდნენ თურმე ერთმანეთს. ატყდა ერთი მისიგნალებები და სტვენები, ჩემო ჯიგრებო, ჰოდა, წყვილიც მაშინ მოსულა აზრზე, ამფერი ალიაქოთი რომ ამტყდარა. მერე ისევ გოუქროლებიათ მანქანები და წასულა დაწევა-გასწრება. ამას მე არშიყობას ვუძახი და თქვენი არ ვიცი. აა! პირდაპირ მანქანებით „ეპადხოდებოდნენ" ერთმანეთს. ეკა ნამეტანი მომწონს, კაი გოგოა, ამისთანა თვალხატულა გოგო რომ შემოგივა ოჯახში, რა გაქვს სადარდებელი, არც არაფერი. ასე არაა?

***

– თქვენ მოგიკვდეთ ვასასი, თუკი რაიმე ინფორმაციის მილება დაგამადლოთ. გაინტერე-



სებთ? „პაჟალუსტა", მეისმინეთ, წეიკითხეთ და გეიცინეთ. გიგა კვენეტაძეს თურმე ერთ-ერთ პრეზენტაციაზე ისთე მოსწონებია ერთი მოცეკვავე გოგონა, რომ არც აცია, არც აცხელა, პირდაპირ მივიდა მასთან და გაიცნო იგი. გოგონა ნახევრად ქართველია და მას სვეტა ჰქვია. გიგა იმდენად მეიხიბლა გოგონათი, რომ სცენაზე ასულმა სიმღერა მას უმღერა. მთელი საღამო ხომ თავთან უტრიალა და უტრიალა, მერე როგორც მითხრეს, სახლშიც კი გაუცილებია. დღეს, სანამ თქვენთვის ამის ჯღაბნას შევუდგებოდი, მანამ დევინახე, როგორ მიდიოდნენ სტუდია „ორფეისკენ" ორთავე – გიგა და სვეტა. ისე, კაცმა რომ თქვას, შესაფერისი წყვილია.

***

– როგორც თქვენმა ვასასიმ გეიგო, ჟურნალისტებს შოუკვეთიათ რუსა მორჩილაძისთვის ერთი „მოშნი" ჰიმნი. ჰიმნი, მოგეხსენებათ, თუ როგორი



„დამრტყმელი" და ძლიერი იქნება. კომპოზიტორს თანხმობა მიუცია ჟურნალისტებისთვის, რაზეა ლაპარაკიო. ჰიმნს, ალბათ, „მასმედია ფართიც" მოჰყვება. თუ ბერიქალს მენდობით, მართლა კაი რალაც გამოვა. აუ, თქვენ ნახეთ ჟურნალისტები რომ ამღერდებიან, „მაგარი" იქნება. რავა, ვერ იმღერებენ თუ რა, პოლიტიკოსები თუ ამღერდნენ, ჟურნალისტებს ველარ უმღერიათ?! რა სისულელეა!

***

– ჯგუფი „სთეისი" მაშინ დაფასდა ჩემს თვალში, ბულგარეთიდან პრიზით რომ დაგვიბრუნდნენ. იფ, რა გახარებულები იყვნენ, ბრდღვინავდნენ ბიჭები. ეგ ხომ, მაგრამ თაზო რომ მაღალ გოგოსთან დევინახე



ერთი-ორჯერ, ეს ხომ არ მითქვამს აქამდე. ერთი ქერა მაღალი გოგოა და ეს ჩვენი თაზო მხრამდე წვდება. ერთხელ უკან ავედევნე, რას ჭუკჭუკობენ-მეთქი, ხომ იცით ჩემი ცნობისმოყვარეობის ამბავი, ჰოდა, ქე არ აქებდნენ ერთმანეთს? ბიჭმა მესმის აქოს გოგო, მაგრამ გოგომ რომ ბიჭი აქოს, არსად მოვსწრივარ, არც არის ლამაზი. ეს გოგო მიდიი, ხან თვალების კომპლიმენტი უთხრა, ხან ღიმილის და ხან ხმის. ისე, თაზო, კაი ენაწყლიანი, გულიანი ბიჭია და მისთვის კაი გოგო მემეტება. მე რა ვიცი, იქნება ისიც კაი გოგოა, მარა რა ვიცი, პატიოსნება მაინც ფასობს ჩემს თვალში.

***

– აი, ფურცელაძე ისე დააქროლებს ამ თავის მოცუცქნულ მანქანას, გზებზე ლამის გადათელოს ყველა, გინდ მანქანები და გინდ ფეხით მოსიარულეები. მიდის „ლაბა-



ვოი", წინ, გვერდზე, უკან არ იხედება. ბენზინგასამართი სადგურიდან როდის გაალწევს კიდევ ერთი სული აქვს, ლამის გზადაგზა ჩაასხმევინოს ბენზინი. არა, როგორც „რულავიკი" ვერ დეიწუნებ, კარგად ატრიალებს საჭეს, მარა ჩქარობს, სად, არ ვიცით. აუ, გარეცხვა არ ჰყვარებია და მოჰკალით, ჰოდა, ქე დადის „გაძინძგლული" მანქანით და ქე „ინონებს" თავს. აჩი კაი ბიჭია და ეს არ ეკადრება.

# კითხვა-პასუხი

მას შემდეგ, რაც ნიკ კარტერმა სოლო კარიერა წამოიწყო – ფიქრობს თუ არა იგი "BSB"-ში სიმღერას?



– როგორც ნიკი ამბობს "BSB"-ში იგი მანამ იმღერებს, სანამ ეს ჯგუფი იარსებებს.

რამდენი წლისანი არიან კელი და ნელი?



– კელი 11 თებერვალს 22 წლის გახდა, ნელი კი 23 წლისაა.

რამდენი ალბომი აქვს გამოშვებული JLO-ს?



– JLO-ს გამოშვებული აქვს ხუთი ალბომი. ოთხი ინგლისურენოვანი და ერთი ესპანურენოვანი.

რა მიზეზით დაშორდა ემინემი თავის ცოლს?



– ემინემმა კიმს სხვა მამაკაცთან შეუსწრო, მას ღალატი ვერ აპატია და ოფიციალურად გაეყარა.

აპირებს თუ არა ვიქტორია ბექჰემი დევიდისგან მესამე ბავშვის გაჩენას?



– ჯერჯერობით ვიკი ამ თემაზე არ საუბრობს.

რომელ წელს დაიბადა Melc-ი?



– Melc დაიბადა 1974 წელს.

რა ჰქვია ბრიტნი სპირსის უმცროს დას?



– ბრიტნის დას ჰქვია ჯემი ლინი.

რა ჰქვია "BSB"-ის პირველ ალბომს?



– „Backstreet Boys"-ი

როგორ გამოიყურება დარენ ჰეისის დოსიე?



– დარენი დაიბადა 1972 წლის 8 მაისს ავსტრალიის ქალაქ ბრიზბანში. ჰყავს სამი ძმა და მშობლები ჯენი და რობერტი. მისი სიმაღლეა 178 სმ, თმის ფერი ყავისფერი, თვალების კი – მწვანე, საყვარელი ფერია ცისფერი. არის ვეგეტარიანელი. არც სვამს და არც ეწევა.

აპირებს თუ არა Pink-ი ახლო მომავალში გათხოვებას?



– როგორც Pink-ი ამბობს, ამჟამად ბოიფრენდი არ ჰყავს და შესაბამისად, ახლო მომავალში ნამდვილად არ გათხოვდება.

რა ჰქვია ემინემს?



– ბრიუს მარშალ მაზერს II.

რა ფერის თვალები აქვს ქაილი მინოუგს?



– ცისფერი.

მართალია, რომ ბრედ პიტი ცოლს ეყრება?



ეროვნული ბიბლიოთეკა

– მათ ურთიერთობაში მართლაც გაჩნდა ბზარი, ამის მიზეზი კი ის არის, რომ ჯენიფერი ბრედს შვილს ვერ უჩენს.

რომელ ქალაქში დაიბადა ენრიკე იგლესიასი?



– მადრიდში.

რამდენი წლისაა ქრისტინა აგილერა?



– ქრისტინა არის 21 წლის.

რა ხდება ნელისა და კალის შორის?



– ამბობენ, რომ ისინი შეყვარებულები არიან, თუმცა თავად წყვილი ამის შესახებ ხმამაღლა არ საუბრობს.

## ჭრელა-ჭრელა ამბები



თურმე კახუჩელა შუაღამის 5 საათამდე ზის და მუშაობს. მუსიკა მისი ცხოვრების დიდი ნაწილია. „– მე რომ მუშაობას ვიწყებ, ნორმალური ხალხი მაშინ იძინებს. ღამე ძალიან მიყვარს და კარგად ვმუშაობ ამ დროს, ვიდრე დღისით. მერე დღისით 2-3 საათამდე მძინავს“, – ამბობს მომღერალი. ასე რომ, ღამურა კახუჩელა ღამით ქმნის თავის მუსიკას.



ეკა კვალიაშვილი, თურმე, ისეთ ყავას ადუღებს, რომ თითებს მიატანთ. მისი ყავის დასალევად სპეციალურად მიდიან და პირს იტკბარუნებენ. ეკა ასევე დიდი რუდუნებით ამზადებს თურმე სალათებს. დიეტაზე ყოფნისას მან სხვადასხვა იმპროვიზებული სალათები ისწავლა და დიდი ოსტატობით ამზადებს მათ. ამითი მისი მეუღლეც ნასიამოვნებია, რადგან მასაც უყვარს სალათები.



პროგრამა „ალიონის“ წამყვანები ნინო შუბლაძე და ალეკო ფარულავა დილაობით უამრავი კურიოზით ხალისობენ. ალეკო ტრადიციული მანერით თუ არ შევა სტუდიაში, ითარსება თურმე, ამიტომ ზოგჯერ უკვე დამჯდარი, ადგება და თავიდან შემოვა ხოლმე. დაგვიანებული ნინო ზოგჯერ მოუწესრიგებელი ვარცხნილობით ჯდება ეთერში, ზოგჯერ, როცა რომელიმე მათგანს დაუგვიანებია, მარტო გაუხსნიათ პროგრამა.

# გასართობი გვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოცემული ასოებით შეადგინეთ სიტყვა




## რამდენად ერკვევი შოუ-ბიზნესში?

გაზეთ “ფან-კლუბის“ საშუალებით თქვენ შეგეძლებათ შეამოწმოთ თქვენი ცოდნა, თუ რამდენად ერკვევით შოუ-ბიზნესში. ყველა კითხვას თავზე მოთავსებული აქვს სირთულიდან გამომდინარე ქულები 1-დან 5-ის ჩათვლით. პასუხები გამოქვეყნებულია მე-15 გვერდზე.

**1 ქულა**
რა ფერის თმა აქვს ამჟამად ეკა კვალიაშვილს?

**4 ქულა**
ვინ არის დათო გომართელისა და ვერიკო ტურაშვილის დუეტის ავტორი?

**3 ქულა**
ვინ მონათლა გურამიკო ლომიძის შვილი?

**2 ქულა**
რა ზედმეტსახელს ეძახიან რომა რცხილაძეს?

**5 ქულა**
სად მდებარეობს კლუბი „ნეო“?

**3 ქულა**
რომელ თვეში აქვს დაბადების დღე ლელა წურწუმიას?

**3 ქულა**
რა ჰქვია გიგა კვენეტაძის ხმის ჩამწერ სტუდიას?

**1 ქულა**
რამდენი შვილი ჰყავს ეკა კახიანს?

**1 ქულა**
რა ჰქვია ლელას ქალიშვილს?

**5 ქულა**
რა ჰქვია მერაბ სეფაშვილის ცოლს?

**2 ქულა**
რომელი კომპოზიტორია ცისანა სეფიაშვილის მამა?

**3 ქულა**
რა ჰქვია გოგოლა კალანდაძის გმირს სერიალში „სახლი ძველ უბანში“

**2 ქულა**
ვინ გადაიღო ანსამბლ „ფორტეს“ კლიპი „თბილისის მზეს“.

**დაითვალეთ ქულები:**

0 ქულა: თქვენ საერთოდ ვერ ერკვევით შოუ-ბიზნესში და ალბათ, არც ჟურნალი „ოსკარი“ წაგიკითხავთ ყურადღებით.

1-დან 3-მდე: შოუ-ბიზნესის წარმომადგენლებმა გვერდზე რომ ჩაგიარონ ან იცნობთ და ან ვერა. თუმცა, ცოტ-ცოტა რამ მაინც გაგეგებათ.

0-დან 8-მდე: სულ ცოტა ხანია, რაც დაინტერესდით შოუ-ბიზნესის ამბებით. ყოველ შემთხვევაში ასეთი დასკვნის გაკეთება შეგვიძლია, თქვენი პასუხებიდან გამომდინარე.

8-დან 15-მდე: შეიძლება საფუძვლიანად ვერ ერკვევით ქართულ შოუ-ბიზნესში, მაგრამ თუ ასე გააგრძელებთ, ალბათ, რომელიმე ჟურნალში ერთი წლის მერე სამსახურსაც იშოვით.

15-დან 25-მდე: ყოჩაღ, ალბათ „ოსკარის“ არც ერთ ნომერს არ ტოვებთ და გაზეთ „ფან-კლუბის“ დახმარებით თქვენს კუმირს უამრავ კითხვას უსვამთ.

15-დან 35-მდე: თქვენ შოუ-ბიზნესის მემატიანე ბრძანდებით და თავისუფლად შეგიძლიათ, ქართული შოუ-ბიზნესის ისტორია დაწეროთ.

# გასართობი გვერდი

## შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

**1** ვის ეკუთვნის პოემა „ბახტრიონი“?

A) ვაჟა ფშაველას B) აკაკი წერეთელს
C) ილია ჭავჭავაძეს D) ალ. ჭავჭავაძეს

**2** ვისი საცოლეა ჯენიფერ ლოპესი?

A) კრის ჯადის B) მარკ ანტონის
C) ბენ აფლეკის D) ემინემის

**3** ვინ ასრულებს სიმღერას – „უდაბნოს ვარდი“?

A) შაკირა B) სტინგი
C) ქრეიგ დევიდი D) ჯასტინ ტიმბერლეიქი

**4** რომელი მეფის დროს მოხდა დიდგორის ბრძოლა?

A) დავით აღმაშენებლის B) თამარის
C) ლაშა-გიორგის D) სიმონის

**5** რომელი ქართველი მეფის მუზარადზე იყო გამოსახული მგლის თავი?

A) დემეტრე II-ის B) სიმონ I-ის
C) ვახტანგ გორგასლის D) გიორგი ბრწყინვალეს

**6** ქვემოთ ჩამოთვლილი მდინარეებიდან რომელი არ მდებარეობს საქართველოში?

A) რიონი B) არაგვი
C) ლენა D) მტკვარი

## ასოციაციობანა ასოციაციობანა

| | | | |
|---|---|---|---|
| რაოდენობა | მზე | მკითხაობა | ბავშვი |
| წელიწადი | პლაზმა | პლანეტები | სამშობიარო |
| თვე | მნათობი | ნოსტრადამუსი | მეტრიკა |




## იპოვეთ 5 განსხვავება




## ანეკდოტები

სვანს ჭექა-ქუხილისა და ელვის დროს სიცილი აუტყდა:

– რა გაცინებს, – ჰკითხეს.

– აბა, რა უნდა ვქნა, სურათს მიღებენ და ხომ არ ვიტირებ!

* * *

კურორტზე ვაკელი მაკუნა სასწორთან მიდის. მონეტას აგდებს და ზედ დგება. წონა არ ესიამოვნა. სვიტრი გაიხადა და ისევ შედგა. შემდეგ ფეხსაცმელებიც გაიხადა, მონეტა ჩააგდო და ისევ აიწონა. ამ დროს ჭიჭიკია ღიმილით უახლოვდება:

– შენ გააგრძელე, ლამაზო! მონეტებს მე ჩავყრი!..

* * *

რაჭველ ქალთან მეზობელი მივიდა და მტვერსასრუტი თხოვა.

– ქვე შენი ჭირიმე! ქმარმა ამიკრძალა ნივთების განათხოვრება და თუ ძალიან გჭირდება, აქვე მოიხმარე, ჩემს სახლში – უპასუხა ქმრის დამჯერე დედაკაცმა.

## ჭროლა-ჭროლა ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯგუფის შავთმიანი წევრი ეკა, რომელიც უკვე გამოცდილი მძღოლია მანქანაში ინახავს დაბალ ქუსლიან თავისუფალ ფეხსაცმელს. საქმე იმაში გახლავთ, რომ მანქანას მომღერალი მაღალქუსლიანი მოჭერილი ფეხსაცმლით ვერ ატარებს. აქედან გამომდინარე მიუჯდება თუ არა საჭეს მომენტალურად იცვლის ფეხსაცმელს და პედალს გაბედულად აჭერს ფეხს. არის შემთხვევები, როდესაც ეკას მანქანიდან გადმოსვლის დროს ავიწყდება ფეხსაცმლის გამოცვლა და მანქანის სალონის დაბალქუსლიანი „ფლოსტებით“ დადის ქუჩაში.



ამერიკაში ყოფნისას სალომე გასვიანს ყველაზე ძალიან თავისი ძმა გიორგი მონატრებია. როგორც მომღერალმა თქვა გიოს ხშირად ეჩხუბება და ასევე ხშირად თამაშობს მასთან ერთად, სწორედ ამიტომაც მოენატრა ყველაზე ძალიან ძმა. მიუხედავად იმისა, რომ დებიც ძალიან ენატრებოდა მაინც გიორგიზე ჰქონდა სალომეს აქცენტი გადატანილი. ჩამოვიდა თუ არა და-ძმა მაშინვე შეუდგა ერთმანეთთან კინკლაობას, რაშიც მათი სიყვარული და მონატრება გამოიხატებოდა.



როგორც გავიგეთ მომღერალი თამთა ჭელიძე ზაფხულამდე არ აპირებს, რომ დედა გახდეს. მომღერალი დაკავებულია რეპეტიციებით. მოგეხსენებათ იგი თეატრალურ ინსტიტუტში სწავლობს და საკურსო (სადიპლომო) სპექტაკლზე მუშაობით ისეა გართული, რომ ბავშვზე ჯერჯერობით ვერ ფიქრობს. ჩვენთან საუბრისას თამთამ აღნიშნა, რომ ალბათ ზაფხულამდე მასზე ფიქრი ნაადრევია.

## ჭრელა-ჭრელა ამბები



რამდენიმე დღის წინ ირლანდიაში საკმაოდ პრესტიჟული დაჯილდოების ცერემონიალი „Meteo Ireland Awards“-ი გაიმართა, სადაც ბევრი გამარჯვებული გამოვლინდა. საუკეთესო პოპ შემსრულებლად „Westlife“ დასახელდა, საუკეთესო ჯგუფად კი „U2“. აღსანიშნავია ისიც, რომ საღამოზე „Westlife“-მა ცნობილი ჰიტი „Tonight“ მომღერალ სამანტა ბამბასთან ერთად შეასრულა და თინეიჯერ გოგონათა დიდი მოწონებაც დაიმსახურა.



სიმაღლით ყველაზე პატარამ, მაგრამ მსოფლიოში ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა ავსტრალიელმა მომღერალმა ქაილი მინოუგმა გასულ კვირას უახლოესი მეგობარი დაკარგა. ეს პიროვნება, მაიკლ კატჩენსი, თავის სახლში მკვდარი იპოვეს და ვარაუდობენ, რომ მან თავი მოიკლა. როგორც ქაილიმ აღნიშნა, მაიკლი რომ არა იგი დღეს პოპულარული არ იქნებოდა.



წარმოშობით სომეხმა და გაამერიკელებულმა მომღერალმა შერიმ არაერთხელ მიიპყრო საზოგადოების ყურადღება თავისი მრავალრიცხოვანი და ფერადფერადი პარიკების წყალობით, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მის პარიკთა კოლექციას ერთი ეგზემპლარი მოაკლდა, რადგან იგი მას ერთ-ერთი კონცერტისას მოპარეს და სარქისიანი „გაცინებული“ დატოვეს. თუმცა არა უშავს – მას ფული ბლომად აქვს, ასე რომ, ახალ პარიკს იყიდის.

# „Blue“-ს წევრს ფანი კინაღამ ხელში ჩააკვდა“



თქვენთვის ძალიან კარგად არის ცნობილი ის ფაქტი, რომ კვარტეტი „Blue“ დღესდღეობით ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ბენდია და ამ ჯგუფის წევრები მილიონობით თინეიჯერი გოგოსთვის ნამდვილი ოცნების პრინცები არიან.

ლის, ანტონის, დუნკანსა და სიმონს, მოღვაწეობის არცთუ ისე ხანგრძლივ პერიოდში, ფანებთან დაკავშირებით უამრავი საინტერესო და არაორდინალური ისტორია გადახდათ თავს. ამ კურიოზებს კი ისინი ახლა ჩვენ მოგვითხრობენ.

დუნკანი: – „რამდენიმე თვის წინ ლონდონში ცოცხალი კონცერტი ჩავატარეთ და სასტუმროში საოცრად გადაღლილები დავბრუნდით. ვაპირებდი, რომ შხაპი მიმეღო და მაშინვე დასაძინებლად წავსულიყავი, მაგრამ ამის გაკეთება არ დამცალდა, კარებზე ორმა გოგომ მომიკაკუნა. მათ მითხრეს, რომ მათი უახლოესი დაქალი ჩემი ფანია, მას იმ დღეს დაბადების დღე ჰქონდა და თუ იმ დღეს მასთან სტუმრად მივიდოდი უბედნიერეს გოგოდ ვაქცევდი. თავიდან ვცდილობდი მათთვის ამეხსნა, რომ ძალიან დაღლილი ვიყავი და ვერ გავყვებოდი, მაგრამ მალე მივხვდი, რომ მათგან თავს ვერ დავიძვრენდი, ჩავიცვი და დაბადების დღეზე გავყევი. სახლში რომ მივედით გოგონა ფანჯრის რაფაზე იყო შემოსკუპებული და რომ დამინახა მოულოდნელობისგან უკან გადაიწია და გადავარდა. ეს ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ აზრზე ძლივს მოვედი – პირველი სართული რომ არ ყოფილიყო ის გოგო მოკვდებოდა და ყველაფერი მე დამბრალდებოდა. ყველანი დაბლა გავიქეცით, მე დედა ექიმი მყავს, ამიტომ გოგონას ხელოვნური სუნთქვა გავუკეთე, თუმცა მას პულსი კვლავ არ ესინჯებოდა. შემდეგ გულის პირდაპირი მასაჟიც გავუკეთე და როგორც იქნა გონს მოვიდა. მალე „სასწრაფოთი“ იგი საავადმყოფოში გააქანეს, საბედნიეროდ, მხოლოდ ფეხები იღრძო, სერიოზული დაზიანება არ ჰქონდა. იმ დღეს საოცრად ვინერვიულე, მეორე დღეს ამ ფანს ფუმფულა სათამაშოები ვაჩუქე და ვთხოვე, რომ სხვა დროს ემოციებს აღარ აყოლოდა და ყველაფერი ასე გულთან ახლოს არ მიეტანა. სიმონი – „ერთ-ერთმა ფანმა „სასწრაფო დახმარების“ ექთნის ტანსაცმელი გადაიცვა და ამ გზით ჩვენს სასტუმროში შემოიპარა. შემდეგ "ბუფეტში" შევიდა ლანგარზე ყავა და კეფირი დაილაგა, როცა ნომერში შემოვიდა და თავისი ხრიკების შესახებ მოგვითხრო, გვთხოვა არ „ჩამიშვათო“ და ავტოგრაფი ჩამოგვართვა.

ანტონი: – „ხშირად გოგონები ჩვენს სასტუმროსთან იკრიბებიან და სერენადებს გვიმღერიან. ეს ყველაფერი კი ძალიან რომანტიკულია.



*– ალბათ, აგრესიულ თაყვანისმცემლებსაც შეხვედრიხართ – ასეა?*

ლი: – „კი. ერთ-ერთმა ფანმა ფრჩხილებით ხელი დამიკაწრა, ეს ყველაფერი კი იმიტომ გააკეთა, რომ მეჩქარებოდა და მასთან ერთად სურათი ვერ გადავიღე.

დუნკანი: – „არსებობს ფანების კატეგორია, რომლებიც აქტიურად ცდილობენ, რომ ჩვენი ყურადღება მიიპყრონ და ამიტომ უკან არაფერზე იხევენ. თეთრეულს სცენაზე ისვრიან...



ლი: – „როცა პატარა ქალაქებში ჩავდივართ – იქ როგორც წმინდანებს ისე გვიყურებენ, სახეზე ჩვენ სახელებს იწერენ, აცვიათ ჩვენი გამოსახულების მქონე ტანსაცმელი და მარტივად რომ ვთქვათ, ჭკუაზე არ არიან.

სიმონი: – „ფანები უამრავ საჩუქარს გვჩუქნიან. განსაკუთრებით ბევრი ფუმფულა სათამაშო გვაქვს, მათ უკვე ველარსად ვატევთ“.

ანტონი: – „ჩვენს ვებ-საიტზე მოდის უამრავი სასიყვარულო წერილი და როცა ზოგიერთ მათგანს ვეცნობი თავს მართლა ბედნიერ ადამიანად ვგრძნობ, რადგან ამდენ ხალხს ვუყვარვართ და ამდენ თბილსა და ლამაზ სიტყვას გვჩუქნიან.

*– ფანები მთელს ევროპაში გყავთ?*

დუნკანი: – „კი. გასულ კვირას, მაგალითად, გერმანიაში ჩავედით და მართლაც განცვიფრებული დავრჩი. აქამდე მეგონა, რომ გერმანელები ძალიან ცივები იყვნენ და სითბოს გამოხატვა ძალიან უჭირდათ, მაგრამ სინამდვილეში მე სულ სხვა ფაქტის მომსწრე გავხდი, ფანები იქ უკიდურესად თბილად შეგვხვდნენ, ჩვენს მიმართ დიდი სიყვარული გამოხატეს, სიმღერის დროს გვყვებოდნენ და როგორც გაირკვა, ჩვენი სიმღერის ტექსტები სულ ზეპირად იცოდნენ. სხვა ქვეყნებშიც ძალიან კარგად გვიღებენ ეს ორმაგად გვახარებს.

*– თქვენი ფანები, ძირითადად, თინეიჯერი გოგონები არიან?*

ლი: – იცით, ჩვენ საკმაოდ განსხვავებული რეპერტუარი გვაქვს, აქედან გამომდინარე გვისმენენ როგორც თინეიჯერები, ასევე უფროსებიც, თუმცა უფრო თავგადაკლული ფანები ალბათ მაინც პატარა გოგონები არიან.

*მოამზადა*

**თამთა მჭედლიშვილმა**

# ანეკდოტები

მასწავლებელი: - ჯონ, აბა თუ მეტყვი, რა დროა: მე ვიბან, შენ იბან, ის იბანს?

ჯონი: – რა თქმა უნდა, დილა, პატივცემულო.

* * *

**მეტროში ტევა აღარ არის.**

**– ახალგაზრდავ, – ისმის ქალის ამაღლევებელი ხმა, – იქნებ ხელი სხვაგან დამადოთ?**

**– სიამოვნებით, ქალბატონო, მაგრამ... რაღაც მეუხერხულება, – პასუხობს ახალგაზრდა.**



* * *

– ოფიციანტ!

– რა გნებავთ?

– თუ ის, რაც თქვენ მომიტანეთ ჩაია, კეთილი ინებეთ და შაქარი მოაყოლეთ, ხოლო თუ სუპია, მარილი მოაყარეთ!

* * *

**– მარო, – მიმართავს მიხო ცოლს, – გუშინ ძალიან კარგი სიზმარი ვნახე.**

**– რა სიზმარი?**

**– ვითომ უცოლო ვიყავი და შენ ხელს გთხოვდი...**

**– მერე?**

**– შენ უარი მითხარი.**

* * *

გაიგე? – მაკას გულისათვის ერთი ტიპი მეთორმეტე სართულიდან გადმომხტარა.

– ვაიმე, გამაცანი, რა?

* * *

**კაცი ფასიან ტუალეტში შედის.**

**– ქაღალდი გაქვთ?**

**– არა, ფანქარი გვაქვს.**

* * *

– ვისია ეს გოგო?

– შადიმანის ქალიშვილია, არ გახსოვს, მოკლე კაბით რო დატანტალებდა.

– კი, მარა, შემდეგ კაბა აღარ გამოუცვლია?

* * *

**თაგვი და სპილო ხიდს მიადგნენ.**

**– ჯერ შენ გადი, ორივეს ვერ გაგვიძლებს, – ურჩია სპილოს წრუწუნამ.**

* * *

ჭიაყელა შეყვარებულ ჭიაყელას ეუბნება: – თუ ცოლად არ გამომყვები, ახლავე მამლის წინ დავეგდები".

* * *

**– ჭიჭიკია 10 წლისაა შენი ბიჭი და კიდე „გარშოკზე" საქმობს?**

**– ბილიარდის ბურთი გადაყლაპა მაგ მაიმუნმა და მეშინია უნიტაზი არ გატეხოს.**

* * *

– ტყეში მივდივარ, სოკოს მოსაკრეფად.

– მერე არ გეშინია, რომ მოგწამლოს?

– გასაყიდად მინდა.

* * *

**მოხუცი ქალი დიდხანს ითმენდა, მაგრამ მესამე გაჩერებაზე ველარ მოითმინა:**

**– შვილო, ხომ ვერ ადგები? – მიმართა ახალგაზრდა ბიჭს.**

**– მერე შენ დაჯდები, არა? – მაგას ვინ ჭამს, ბაბოჯან?**

* * *

– ვინ გატეხა ფანჯარა? – ეკითხება ბებია შვილიშვილს.

– მამიკომ, მთვრალი იყო.

– როგორ გატეხა?

– დედიკომ თეფში ესროლა.

* * *

**– რას უჩივით? – ეკითხება პაციენტს ფსიქიატრი.**

**– იცით, სულ მეჩვენება, რომ ვიღაცა მომდევს.**

**– დიდი ხანია?**

**– მას შემდეგ, რაც ციხიდან გამოვიპარე, – პასუხობს პაციენტი.**

* * *

– ბავშვებო, აბა, ვინ იცის, რა ჰქვია ადამიანს, რომელსაც აღარავინ უსმენს, ის კი მაინც ლაპარაკობს?

– მასწავლებელი, მას, – პასუხობს პატარა ჯონი.

# სკანვორდი





- ბუნებრივი საღებავი
- გარეული ფრინველი
- უდანაშაულობის საბუთი
- ქვეყანა აზიაში



ეროვნული ბიბლიოთეკა

- მონღოლი მმართველი
- ტროპიკული ხილი
- პოკერის სათამაშო დისკი
- ... გაფრინდაშვილი
- რიჟრაჟი განთიადი
- ინგლისელი ფიზიკოსი
- ანტილოპას სახეობა
- შექსპირის პერსონაჟი
- მეუღლის ღალატი
- ქალაქი იტალიაში
- მდინარე რუსეთში
- კურორტი აჭარაში
- სახელმწიფო აზიაში
- სამკითხაო ბანქო
- ... კროუფორდი
- ბერძნული ანბანის ასო





- ტბა ჩრდ.ამერიკაში
- სალამი პერუში
- ... დე ჟანეირო
- რუმინული ფული
- თუთიყუშის სახეობა
- ქეში ანუ
- აზერბაიჯანელი პოეტი
- ... მინელი
- უზენაესი ღმერთი სკანდ.მით.
- სისხლნაკლულობა
- შარავანდედი
- მახსოვრობის დაკარგვა
- ეღინასას ღრმა ხეობა
- არტურ კონან ...
- ცხენების ჯოგი
- ვერდის ოპერა
- გერმანელი ფიზიკოსი
- ... ქალმერი
- ოსტატობის საფეხური ძიუდოში
- ცურვის სტილი
- იუპიტერის ძვ.ქართ.-სახელწოდება
- თავბრუსხვევა
- ქალაქი გერმანიაში





- საეკლესიო მცენარე
- ...ფერო
- შუშა ანუ
- ... ძლუნი
- ვირტუალური ნამყვანი
- თბილისის გარეუბანი
- ... ბსინესი
- მიმართვა პოლონეთში კაცისადმი
- ფრანგი მარშალი
- უნგრული ავტობუსი
- ცხენისა და ვირის ნაჯვარი
- ნაბიჯი ცეკვაში
- უღედმამო ანუ
- ფოტინი ანუ
- ინდური ხურდა ფული
- კონკონგელი კინორეჟის.
- კრემიანი ნამცხვარი
- მოხელილი კარტოფილი
- ... ეფლეკი





- ...სამკრასი
- საბრძოლო მანქანა
- სიმშვლე ხელოვნებაში
- თოვლის ჯიქი
- ხორციანი საჭმელი ერთგვარი
- მჭრელი მახვილი
- მდინარე ინდოეთში

# ამავე ნომრის პასუხები

ლაბირინთი მე-10 გვ-ზე
ბარელიეფი

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა
კონკურსი მე-11 გვ-ზე
1 – a, 2 – c, 3 – b, 4 – a, 5 – c, 6 – c.

ასოციაციობანა
ზოდიაქო

სკანვორდი მე-13 გვ-ზე
1-1 – აბი, 1-15 – ალიბი, 2-13 – არა, 2-14 – გიდი, 3-1 – ზმნა, 3-3 – ნანა, 4-1 – ფარეხი, 4-3 – ზებრა, 4-13 – კამარა, 5-3 – ბალუ, 5-10 – ელარჯი, 5-11 – კეჯრი, 6-6 – ბალანი, 6-16 – რუ, 7-11 – აკაცია, 7-14 – ჯინი, 8-4 – ალადინი, 8-16 – ომი, 9-2 – პანამა, 9-14 – ნაცარი, 10-9 – ფარა, 10-9 – ეთანი, 10-15 – მარინადი, 11-1 – კი, 11-2 – პასკა, 11-3 – ქინძი, 11-11 – სარა, 11-12 – დარდი, 13-6 – დო, 14-5 – ონი, 14-11 – ორბი, 14-12 – იადა.

სკანვორდი მე-14 გვ-ზე
1-7 – ინა, 1-9 – გნოლი, 1-10 ალიბი – 1-13 სირია, 2-10 – ნოინი, 3-5 – ბანანი, 4-5 – შაიბა, 4-9 – ნონა, 5-9 - აისი, 5-14 – ნიუტონი, 5-16 – კანა, 6-2 – ოფელია, 6-4 – ადიულტერი, 6-5 – მილანი, 6-7 – ლენა, 6-8 – შოვი, 6-9 – ომანი, 6-11 – ტარო, 6-12 – სინდი, 7-16 – ტაუ, 8-2 – ერი, 9-9 – ლიმა, 9-16 – რიო, 10-2 – ლეი, 11-1 – ნესტორი, 11-9 – მუნი, 12-1 – ნიზამი, 12-4 – ლაიზა, 12-5 – ოდინი, 12-8 – ანემია, 12-12 – ნიმბი, 12-15 – ამნეზია, 12-16 – კანონინი, 13-7 – დოილი, 13-14 – რემა, 13-16 – აიდა, 14-3 – ომი, 14-4 – ფელ, 14-10 – დანი, 14-12 – ბრასი, 15-8 – დია, 15-10 – რეტი, 15-12 – ბონი, 16-14 – ბზა, 17-1 – მინა, 17-2 – მია, 17-2 – მაო, 18-2 – მეა, 18-8 – ლილო, 18-9 – იულ, 18-14 – პან, 18-16 – ნეი, 19-7 – იკარუსი, 20-2 – ჯორი, 20-3 – პა, 20-5 – ობოლი, 20-7 – კვანტი, 20-14 – პაი, 21-9 – ვუ, 21-13 – შუ, 22-9 – პიური, 22-11 – ბენ, 24-10 – პიტ, 24-10 – ტანკი, 24-12 – ნიუ, 25-4 – ირბისი, 25-5 – რაგუ, 25-6 – ბასრი, 25-7 – ინდი.

სკანვორდი მე-15 გვ-ზე
1-4 – სკა, 1-11 – კორტი, 2-2 – სიგალი, 2-4 – ის, 2-9 – პრალა, 2-14 – ილია, 2-15 – ია, 4-9 – იო, 4-14 – ლილო, 5-9 – შაქარი, 5-14 – ზორო, 5-15 – "ოსკარი", 6-1 – ფინია, 6-2 – ფილე, 6-9 – კოვზი, 7-5 – პრესა, 8-10 – კოკა, 8-11 – ეკა, 8-13 – კოკო, 9-4 – კიმ, 9-6 – რამა, 9-6 – მირზა, 9-10 – ნემო, 10-13 – გეა, 10-13 – გივი, 11-1 – ობი, 11-8 – ენდრო, 12-8 – ბრა, 12-16 – მური, 14-13 – ლევკი, 14-16 – ზუკა, 15-1 – "მეგა".

სკანვორდი მე-16 გვ-ზე
1-4 – ამაო, 1-7 – ია, 1-12 – იორი, 2-8 – მელია, 3-12 – რასელი, 4-12 – ბნელი, 5-5 – გოია, 5-15 – ბია, 5-15 – მაო, 6-1 – ბანანი, 6-4 – გუჩი, 6-6 – ფანდი, 6-12 – ზასა, 7-7 – კანტი, 8-1 – ლალი, 8-3 – ნეო, 8-7 – ლი, 8-14 – ლოქო, 8-16 – რა, 9-1 – ნოსტე, 9-7 – ბელი, 9-13 – ნანი, 10-16 – არა, 11-7 – ენრაგლი, 11-12 – ბნელი, 11-14 – კატა, 11-16 – შირაქი, 12-7 – პოტერი, 12-11 – მქიმე, 13-5 – "ფორტუნა", 14-8 – სუ, 15-5 – ნიკა, 15-6 – კემპბელი, 15-10 – თეა, 15-13 – ეშვი.

## ანეკდოტები

ყოფილი ქურდი შვილს სცემს.
– რა გინდა, რაა! – ღრიალებს ბიჭი.
– მე იმიტომ კი არ გცემ, რომ მურაბა მოიპარე, არამედ იმიტომ, რომ ქილაზე თითების ანაბეჭდი დატოვე.

* * *

– ბავშვებო, აბა, ვინ მეტყვის, რატომაა ბალინჯო ბრტყელი?
– მე, – ამბობს პატარა ჯონი.
– გისმენ.
– ზედ რომ ადვილად დავიძინოთ, მასწ.

* * *

– რისთვის ზიხარ? – ეკითხებიან ახალ პატიმარს ძველები.
– არაფრიზა.
– ყველა ასე ამბობს.
– არა, მე მართლა არაფრიზა... საფულე მოვპარე ერთს და შიგ არაფერი იყო.

* * *

ახალგაზრდა დიასახლისი ხელში ქათამს ატრიალებს, ვერ გაუგია, როგორ უნდა მოიყვანოს შესაწვავ მდგომარეობაში.
დიდხანს უყურა იქვე გალიაში მყოფმა თუთიყუშმა და ბოლოს მოთმინებამ უღალატა:
– ეე, რძალო! კიდევ დიდხანს უნდა აწვალო მიცვალებული?

## სკანვორდი



# სკანვორდი




ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი "ფან-კლუბი" საშუალებას გაძლევთ პირისპირ შეხვდეთ თქვენს საყვარელ მომღერალს —

## ნინი ქარსელაძეს.

ამისათვის საჭიროა შეაგროვოთ ის ბარათები, რომელსაც ჩვენი გაზეთი პერიოდულად გამოაქვეყნებს და ის, ვინც შეაგროვებს ციფრებს 01, 02 და მიიღებს მონაწილეობას გათამაშებაში, რომლის პირობებიც გამოქვეყნდება გაზეთ "ფან-კლუბის" მე-9 ნომერში, გამარჯვებული დასაჩუქრდება ბილეთით, რომლის საშუალებითაც იგი პირისპირ შეხვდება ნინის კლუბ "ნეოში".

01

"ფან-კლუბი"
№8, 2003

## ყურადღება!

ნებისმიერი კითხვა, რომელიც გსურთ დაუსვათ თქვენთვის საყვარელ პიროვნებას და შესაბამისად მიიღოთ პასუხი, უნდა ჩააწერინოთ გაზეთ "ფან-კლუბის" ოპერატორს ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 15-დან 16 სთ-მდე. წერილები კი გამოგზავნეთ მისამართზე:
კოსტავას 14, მე-2 სართ., გაზეთი "ფან-კლუბი"

## აბა, გამოიცანი



ისინი, ვინც გამოიცნობთ ვინ არიან გამოსახულნი ამ ფოტოებზე, დაგვიკავშირდით ოთხშაბათს, 16 საათზე. ტელ: 98-95-79